30/12/2025

MES 5 25 0001861061

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 16.12.25
სხდომის დაწყების დრო: 11:03
სხდომის დასრულების დრო: 12:50
სხდომის თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
3. **ბონდო გასვიანი -** შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
4. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
5. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
6. **თამარ ზარანდია სსიპ -** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
7. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;

8. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი;
9. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
10. **ნარგული ასანიძე** -სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
11. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
12. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
13. **ქრისტინე ახალაძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
14. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ანა ჯავახიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. **სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

სალომე თათულიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
მზია ღაღოლიშვილი - აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
მანანა კევლიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი
ნიკოლოზ სულხანიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი

1. **შპს ევროპის უნივერსიტეტი**

ილია ბოცვაძე, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი
ბესიკ ტაბატაძე - პროგრამის ხელმძღვანელი
სოფიო ხუნდაძე, ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით
მარიამ გელაშვილი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი

1. **ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი**

ვახტანგ ლეჟავა - რექტორი
ანკა თაბუკაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
ანა გოდაბრელიძე - პროგრამის ხელმძღვანელი

ელიზბარ ელიზბარაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი

1. **სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

როზა ლორთქიფანიძე - პროგრამის ხელმძღვანელი
ნინო კელენჯერიძე - პროგრამის ხელმძღვანელი
ეთერ ბენიძე - პროგრამის ხელმძღვანელი
იზა ოჩხიკიძე - პროგრამის ხელმძღვანელი
ნატალია სანთელაძე - პროგრამის ხელმძღვანელი
ქეთევან კინწურაშვილი - აგრარული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
თეა კორძაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

1. **შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**

თეონა გუბიანური - პროგრამის ხელმძღვანელი
ანა გვრიტიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

აკრედიტაციის ექსპერტები
I საკითხი
თამარ სანიკიძე
ქრისტინე ჩიხლაძე
თამარ თხელიძე

II საკითხი
ჰასან ჩაკირი (Hasan Çakır)
გიორგი კუჭავა
მიხეილ რუხაია
ია ნაცვლიშვილი
დავით ტეფნაძე

III საკითხი
ჟოლტ ჟოფი (Zsolt Zsófi)
თამთა ლეკიშვილი
მარიამ მაჭავარიანი

IV საკითხი
თამარ სანიკიძე
ნინო პატარაია
ლიანა ზაგაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აგრონომიის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს ევროპის უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" ქართული და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "მევენახეობა-მეღვინეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აგრონომიის" საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო და "დეკორატიული მებაღეობა და ლანდშაფტის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის საკითხის განხილვა;
5. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
6. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
• კი

ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილების თაობაზე, რის შედეგადაც დღის წესრიგი განისაზღვრა შემდეგნაირად:

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "მევენახეობა-მეღვინეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ევროპის უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" ქართული და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აგრონომიის" საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო და "დეკორატიული მებაღეობა და ლანდშაფტის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს "აგრონომიის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
6. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
7. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 25 ივლისის №915179 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.

1. **პირველი საკითხი:**

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "მევენახეობა-მეღვინეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ელიზბარ ელიზბარაშვილმა
თვითაცილების მიზეზს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობის არსებობა
დაწესებულებასთან

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ჟოლტ ჟოფმა აღნიშნა, რომ ანგარიში ძირითადად ეფუძნებოდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს და, ასევე, ადგილზე ვიზიტს დაწესებულებაში. ანგარიში იყო ძალიან დადებითი, ზოგადად დაწესებულებამ დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა ექსპერტებზე. საბაკალავრო პროგრამა კარგად იყო ორგანიზებული და ის ძირითადი მიგნებები, რომლებიც ექსპერტებმა შეიმუშავეს ანგარიშის მეორე თავშია ძირითადად წარმოდგენილი. ექსპერტთა შეფასება არის დადებითი დაწესებულების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ ადეკვატურად აისახა ექსპერტების მუშაობა შეფასებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
შეკითხვები არ იყო.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 11:10
დასრულების დრო: 11:13
სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "მევენახეობა-მეღვინეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი კლასტერის ვადით, 2032 წლის 16 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,

მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "მევენახეობა-მეღვინეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 16 დეკემბრამდე.

1. **მეორე საკითხი:**

შპს ევროპის უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" ქართული და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა მიხეილ რუხაიამ აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს საკმაოდ კოლეგიალური გარემო იყო. ექსპერტების მხრიდან გაიცა სულ 2 რეკომენდაცია. პირველი ეხება ფორმალიზაციას, რომ უფრო მეტი გაცვლითი პროგრამა ჰქონდეს უნივერსიტეტს. მეტი მემორანდუმი უნდა ჰქონდეს უნივერსიტეტს გაფორმებული როგორც სტუდენტების გაცვლითი პროგრამებისთვის, ისე ლექტორების გაცვლის კუთხით, რომ პარტნიორ უნივერსიტეტებთან გააღრმავონ ურთიერთობები. მეორე რეკომენდაცია დაკავშირებულია აკადემიურ პერსონალთან, რომ მაქსიმალურად უნდა შეეწყოთ ხელი სამეცნიერო აქტივობის მხრივ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების ვიცე-რექტორმა ხარისხის განვითარების მიმართულებით, სოფო ხუნდაძემ აღნიშნა, რომ საკმაოდ გამჭირვალე და კოლეგიალური გარემო იყო შექმნილი. რაც შეეხება რეკომენდაციებს, ისინი ისეთი სახისაა, რომ შეუძლებელია დაწესებულება არ დაეთანხმოს. პირველი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა მემორანდუმების ფორმალიზებას, ალბათ, ის ფაქტი უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის პროცესში წარდგენილი იყო 54 მემორანდუმი, რომელიც კონკრეტულად კომპიურეტული მეცნიერების ან მომიჯნავე მიმართულებით საბაკალავრო პროგრამებს ახორციელებდა. იმის მტკიცებულებად, რომ ნამდვილად ზრუნავს დაწესებულება ამაზე, ადასტურებს ის, რომ ამ დოკუმენტაციის გაგზავნის შემდეგ კიდევ 14 უნივერსიტეტთან მოხდა მემორანდუმების გაფორმება, რომლებიც აფორმებენ კომპიუტერული მეცნიერების ან მომიჯნავე მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამებს. ამავდროულად, კონკრეტულად ინფორმატიკის მოქმედი სტუდენტებისთვის მიმდინარე სემესტრშიც არაერთი ღონისძიება განხორციელდა ამ მემორანდუმების ფარგლებში საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით და ჩართულობით. მეორე რეკომენდაციასაც ეთანხმება დაწესებულება, ბუნებრივია იაზრებს ამ საკითხის მნიშვნელობას უნივერსიტეტი. დაწესებულება აქაც აფილირებული და აკადემიური პერსონალს უყენებს კონკრეტულ მოთხოვნებს. ყოველი წლის

ბოლოს წარმოადგენს აკადემიური პერსონალი განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციას. განსაზღვრულია ქულები თითოეულ აქტივობაზე და ამ შეფასებების საფუძველზე გაიცემა ყოველწლიური ანაზღაურება. ამის გარდა, აკადემიურ პერსონალს აქვს შესაძლებლობა სემესტრის მიმდინარეობისას მუდმივად მიმართოს ფაკულტეტს და მათი სამიზნო პროექტის დაფინანსების არაერთი მაგალითი არსებობს. ხაზი გაესვა იმასაც, რომ დაწესებულების მხრიდან ამ ფაქტების წარმოდგენა არ ემსახურება იმას, რომ ის არ ეთანხმება ექსპერტებს. ეს გულისხმობს იმას, რომ ამ საკითხების მნიშვნელოვან წილს იაზრებს დაწესებულება და მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ უნივერსიტეტი ნამდვილად ზრუნავს ამ მიმართულებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაქსიმ იავიჩმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ ყველაზე კარგი არის ერაზსმუსის გრანტები და აქვს თუ არა დაწესებულებას ისინი შესაბამისი მიმართულებით, ან თუ აქვს როგორ მიდის პროცესი?

სოფო ხუდაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს შესაბამისი გრანტები და ამ გრანტების საფუძველზე სტუდენტთა გაცვლის მონაცემებიც არსებობს.

მაქსიმ იავიჩს აინტერესებდა წელს ან წინა წელს დაახლოებით რამდენი სტუდენტი მოხვდა გაცვლით პროგრამებში. ხოლო ექსპერტების პოზიცია აინტერესებდა პერსონალთან მიმართებით, რომლებსაც აქვთ ხარისხი საკმარისია თუ არა მათი რაოდენობა პროგრამის განხორციელებისათვის?

მიხეილ რუხაიამ აღნიშნა, რომ საკმარისია, რადგან არ ჰყავს დაწესებულებას ბევრი ჯგუფი, შესაბამისად, ამ მოცემულობისთვის საკმარისია.

სოფო ხუდაძემ აღნიშნა, რომ კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით ყოველწლიურად საშუალოდ 4 სტუდენტი ახორციელებს მობილობას. ამ მონაცემებით, მათგან მხოლოდ 1 არის ქართულენოვანი პროგრამიდან.

ციური დურულმა აღნიშნა, რომ მეორე რეკომენდაციას აქვს რჩევის სახე, რადგან წერია, რომ უნდა გაუმჯობესდეს და აქვს დაწესებულებას მექანიზმები, რომლის დახვეწაც იგულისხმებოდა და მას აინტერესებდა რამ გამოიწვია ამ საკითხის რეკომენდაციად ჩამოყალიბება?

მიხეილ რუხაიამ აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია მომდინარეობს იქიდან, რომ შთამბეჭდავი სამეცნიერო აქტივობები არ უდასტურდება პერსონალს. უნივერსიტეტს აქვს გაწერილი ფინანსური წახალისებები, თუმცა რეალურად არ მუშაობს იმ თვალსაზრისით, რომ არ იყენებენ ლექტორები.

ჰასან ჩაკირმა აღნიშნა, რომ ძირითადად გამოიყო 2 რეკომენდაცია, რომელიც უშუალოდ ინსტიტუციის პროგრამასთან იყო დაკავშირებული. რეკომენდაციები ეხება 1.4 და 4.1 კომპონენტებს. 1.4 ძირითადად ეხება საერთაშორისო პარტნიორულ დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაცვლითი ან მოწველი პერსონალის მიერ ლექციების ჩატარების შესახებ შეთანხმებების გაფორმებას, რაც გააძლიერებს პერსონალს შორის აკადემიურ გამოცდილებას. კომპონენტი 4.1 გულისხმობს, რომ გაუმჯობესდეს აკადემიური პერსონალის წახალისების გეგმები, რაც გააძლიერებს მათ სამეცნიერო საქმიანობას. ეს რეკომენდაციები იმას არ გულისხმობს, რომ აღნიშნული საკითხები მოცული არ აქვს დაწესებულებას. გარკვეულ საწყის ეტაპზე მათ ეს განვითარებული აქვთ, მაგრამ იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს საერთაშორისო მიმართულება და ხელი შეეწყოს კულტურათაშორის გაძლიერებას დაწესებულებაში აუცილებელია ამ რეკომენდაციების შესრულება. ექსპერტთა გუნდმა შეიმუშავა რამოდენიმე რჩევაც, რომლებიც ძირითადად ეხება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამების გაძლიერებას. გარკვეულ ეტაპზე აღნიშნული პროგრამა კარგად მიმდინარეობს, მაგრამ სამომავლო ჭრილში მისი მათი გაძლიერება არის აუცილებელი.

სოფო ხუნდაძემ დააყენა შუამდგომლობის საკითხი. მისი თქმით, უნივერსიტეტი ახორციელებდა „ინფორმატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც მიმდინარე წელს სააკრედიტაციოდ არ შემოუტანიათ, რადგან იგეგმებოდა, აღნიშნული პროგრამის გაუქმება. სანაცვლოდ, დაწესებულებამ შეიმუშავა „კომპიუტერული მეცნიერების“ ქართულ და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები და გეგმავდა „ინფორმატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან სტუდენტების „კომპიუტერული მეცნიერების“ პროგრამებზე გადაყვანას. „ინფორმატიკის“ პროგრამას აკრედიტაციის ვადა ეწურებოდა 2025 წლის 31 დეკემბერს, რის საფუძველზეც, დაწესებულებამ საბჭოს მიმართა თხოვნით, რომ პროგრამის განხორციელების ვადა განსაზღვრულიყო 2026 წლის 31 მარტის ჩათვლით იმისთვის, რომ სტუდენტებს ჰქონოდათ სასწავლო წლის დახურვის შესაძლებლობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 11:39
დასრულების დრო: 11:42
სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ევროპის უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი კლასტერის ვადით, 2032 წლის 16 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შპს ევროპის უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 16 დეკემბრამდე.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ევროპის უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი კლასტერის ვადით, 2032 წლის 16 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შპს ევროპის უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 16 დეკემბრამდე.

რაც შეეხება დაწესებულების მიერ დაყენებული შუამდგომლობის საკითხს, რომელიც ეხებოდა შპს ევროპის უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის ვადის გაგრძელების საკითხს, საბჭომ განაცხადა, რომ განიხილავდნენ შემდეგ ს ა ბ ჭ ო ს ს ხ დ ო მ ა ზ ე .

1. **მესამე საკითხი:**

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აგრონომიის" საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო და "დეკორატიული მებაღეობა და ლანდშაფტის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა ვლადიმერ ადეიშვილმა
თვითაცილების მიზეზს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა თამარ სანიკიძემ აღნიშნა, რომ საბოლოო დასკვნა გაგზავნილ იქნა 2025 წლის 5 დეკემბერს, ხოლო შეფასება განხორციელდა ამა წლის პირველ და ორ ოქტომბერს. კლასტერული 8 რეკომენდაცია გაიცა, რომელიც ეხება უშუალოდ კლასტერის ერთიან სისტემაში განვითარებას და მხარდაჭერას. მესამე პროგრამაზე არის მხოლოდ ერთი რეკომენდაცია, ხოლო მეოთხე პროგრამაზე არის 9 რეკომენდაცია. უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია აკრედიტაციის ექსპერტებმა დეტალურად განიხილეს და ჯგუფმა მეოთხე პროგრამასთან მიმართებით შეცვალა რამდენიმე რეკომენდაციის ფორმულირება, მაგალითად მეორე და მესამე რეკომენდაციების, მეცხრე და მეათე რეკომენდაციების გაერთიანება მოხდა. ასევე, პირველი რეკომენდაციის ამოღება მოხდა კლასტერული რეკომენდაციებიდან, თუმცა საბოლოო დასკვნაში ყველა ეს რეკომენდაციაა წარმოდგენილი და სრულად ეფუძნება ვიზიტის დროს მიღებულ შედეგებს. კლასტერულ რეკომენდაციებში გაწერილია, რომ უნივერსიტეტმა უფრო მკაფიოდ უნდა აღწეროს სწავლის შედეგები, რომ

გამჭირვალობა და უკუკავშირის მექანიზმები იყოს უფრო ეფექტურად ახსნილი და წარმოდგენილი. ასევე, უნდა შემუშავდეს შეფასების მკაფიო პროცედურები, განსაკუთრებით სადოქტორო დონეზე, რათა უზრუნველყოფილი იქნას სამეცნიერო კველევითი შედეგების და პროგრამის სწავლის შესაბამისობა. უნივერსიტეტმა უნდა წარმოაგდგინოს აკადემიური პერსონალის გარდა სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მტკიცებულება, სტუდენტები/კურსდამთავრებულები/ დამსაქმებლები. ასევე, რეკომენდებულია გაუმჯობესდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მონიტორინგი და ანგარიშგება იმისათვის, რომ ნაჩვენები იყოს როგორ შეესაბამება ერთმანეთს სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლის შედეგები და შეფასების პროცესი. რეკომენდებულია, უზრუნველყოთ სახელმძღვანელოების და მასალების პერიოდული გადახედვა და განახლება უახლესი სამეცნიერო კვლევების და გლობალური მიღწევების საფუძველზე. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებში აქცენტი გაკეთდეს ახალი და ახალგაზრდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოზიდვასა და შენარჩუნებაზე, ისევე როგორც უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამებში მათ აქტიურ ჩართულობაზე. ადამიანური რესურსის განვითარების აღნიშნული ასპექტის გაძლიერება ხელს შეუწყობს აკადემიური პერსონალის განახლებას, სწავლებისა და კვლევის ინოვაციური მიდგომების ინტეგრაციას, სწავლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას და პროგრამის გრძელვადიან მდგრადობას. ასევე, რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაზარდოს ინვესტიცია ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის განვითარებაში და აქტიურად მოიძიოს აგრობიზნეს სექტორში პარტნიორობის შესაძლებლობები. აღნიშნული თანამშრომლობა გააძლიერებს პრაქტიკული სწავლების ხარისხს და აკადემიური პერსონალის შესაძლებლობას ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ჩასატარებლად. ხაზგასასმელია, რომ აუცილებელია ახალგაზრდა კადრების მოზიდა და აკადემიური პერსონალის სისტემატიური განახლება და გადამზადება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი იზიარებს თითქმის ყველა რეკომენდაციას. დაწესებულების მიზანია პროგრამების განვითარება და იმ ლაბორატორიების აღჭურვა საჭირო მასალით, რაც მარტივი არ არის, თუმცა უნივერსიტეტი და ადმინისტრაცია ყველაფერს აკეთებს, რომ ეს ყველაფერი მაქსიმალურად შესრულდეს, ამიტომ დაწესებულების მზაობა არის პროგრამის განვითარება, ასევე უნივერსიტეტი ითვალისწინებს რჩევებსაც.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 11:53
დასრულების დრო: 11:58
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აგრონომიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აგრონომიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 16 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აგრონომიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აგრონომიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 16 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აგრონომიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის

„ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აგრონომიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 16 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დეკორატიული მებაღეობისა და ლანდშაფტის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დეკორატიული მებაღეობისა და ლანდშაფტის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 16 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

1. **მეოთხე საკითხი:**

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს "აგრონომიის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა თეა მჭედლურმა

თვითაცილების მიზეზს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა თამარ სანიკიძემ აღნიშნა, რომ აგრონომიის კლასტერი სრულ შესაბამისობაშია სტანდარტებთან და სრულად პასუხობს უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებს. ხაზი გაესვა ლაბორატორიულ აღჭურვილობებს, რომელიც კარგად უზრუნველყოფს ორივე პროგრამის სწავლის შედეგზე გაყვანას. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ხორციელდება ევრორეგულაციების შესაბამისად. ინტერვიუებიდან და დოკუმენტაციის ანალიზიდან გამომდინარე გაიცა 5 რეკომენდაცია, რომელთაგან ერთი არის კლასტერული რეკომენდაცია. პირველი, მეორე და მეხუთე რეკომენდაცია ეხება ბაკალავრიატის პროგრამას, ხოლო მესამე - სამაგისტრი პროგრამას. კლასტერული რეკომენდაციის შემთხვევაში იყო არგუმენტირებული პოზიცია, რომელსაც უშუალოდ ექსპერტთა ჯგუფი არ დაეთანხმა და ძალაში დატოვა აღნიშნული რეკომენდაცია, რომელიც ჟღერდა შემდეგნაირად: რეკომენდებულია, რომ კლასტერის თითოეულმა პროგრამამ ბიუჯეტის დანართის სახით წარადგინოს სამომავლო განვითარების კონცეფცია რეკომენდაციებით (მინიმუმ 2 წლიანი), ასევე სამოქმედო გეგმა და შესაბამისი სავარაუდო ბიუჯეტი, რომელიც რეალურად იძლევა შესაძლებლობას წინასწარ იყოს გააზრებული და სტრატეგიული ნაბიჯები გათვლილი იმისთვის, რომ სწორად დაიგეგმოს სტუდენტების რაოდენობა და ის ლაბორატორიული აღჭურვილობები, რაც სჭირდება ლაბორატორიებს. გარდა ამისა, გაცემულია 16 რჩევა, რომელიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
სალომე თათულიშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ მოხდა არგუმენტირებული პოზიციის წარდგენა, რის შედეგადაც მოხდა რამდენიმე რეკომენდაციის რჩევებში გადატანა. ამ ეტაპზე დარჩენილია 5 რეკომენდაცია.
მანანა კევლიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება 5 რეკომენდაციიდან დაეთანხმა 2-ს და 3-ს ვერ იზიარებს. ერთ-ერთი რეკომენდაცია ითვალისწინებს სწავლის შედეგების ინფორმაციის გავრცელებას სტუდენტებისათვის. ამას არ ეთანხმება დაწესებულება, რადგან ის საკმაოდ ბევრ სამუშაოს ახორციელებს სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან თუ აკადემიურ პერსონალთან თითოეული პროგრამის მიზნებსა და შედეგებზე ინფორმირებულობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ეს მიზნები და შედეგები ძირითადად განსაზღვრულია დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით. მეორე რეკომენდაცია ეხება საერთაშორისო ურთიერთობების გაძლიერებას. აღინიშნა, რომ უნივერსიტეტი ძალიან აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო ურთიერთობებში, დაწესებულებას ბევრ საერთაშორისო უნივერსიტეტთან აქვს ურთიერთობა. ის აქტიურადაა ჩართული ერასმუსის გაცვლით პროგრამებში, რომლის ფარგლებშიც ბევრი სტუდენტი იყო წასული პარტნიორ უნივერსიტეტებში. 2024-25 წლებში უკვე 8 სტუდენტმა მოიარა ევროპის უნივერსიტეტები. ამიტომ ეს რეკომენდაციაც მიუღებელია. ხოლო მესამე რეკომენდაცია ეხება ბიუჯეტს. დაწესებულებაში ყველა ფაკულტეტი ცენტრალური ბიუჯეტიდან იღებს დაფინანსებას, თუმცა უნივერსიტეტს აქვს სტრატეგიული გეგმა, რომელშიც გათვლილია ყველა ის სამომავლო გეგმა და საქმიანობა, რომელიც დაგეგმილია თითოეული ფაკულტეტის განვითარებისთვის. უნივერსიტეტი ამ ბიუჯეტით ყოველთვის გამოყოფს სასურველ თანხებს, ამიტომ ცალკე ფაკულტეტისთვის ბიუჯეტის გამოყოფის საჭიროება არ არსებობს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტებს პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა რა იგულისხმებოდა მასში კონკრეტულად. ამასთან დასკვნაში გაწერილია სადოქტორო პროგრამების ინდიკატორები და მტკიცებულებები და მას აინტერესებდა იყო თუ არა ეს ტექნიკური ხარვეზი?
თამარ სანიკიძემ განმარტა, რომ ყველა რეკომენდაცია ეხება საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურს.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ 1.1 რეკომენდაცია არის თავმჯდომარის რეკომენდაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით სწავლის შედეგებში უნდა ჩანდეს მდგრადობის და შემოქმედებითობის კომპონენტი.
ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ მესამე რეკომენდაციას აქვს უფრო რჩევის სახე.
თამარ სანიკიძემ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში ის ეთანხმება დაწესებულებას და ეს უფრო არის სამომავლო განვითარებისთვის რჩევა და არა რეკომენდაცია. ამასთან კლასტერულ რეკომენდაციაზე აღინიშნა, რომ აქ არ არის საუბარი არც უნივერსიტეტზე, არც ფაკულტეტზე, აქ არის კლასტერზე საუბარი. თუ ხარისხის ცენტრმა შემოიღო კლასტერული მიდგომა, მაშინ ხედვა უნდა იყოს კლასტერული.
ციური დურულმა აღნიშნა, რომ ეს ქვესტანდარტი არ გულისხმობს კონკრეტულად ბიუჯეტის ნაწილის წარმოდგენას. აქ შეიძლება იყოს თვითონ ინსტიტუციის ან ფაკულტეტის, ან პროგრამების ბიუჯეტი წარმოდგენილი. მთავარია ხედვა და გადანაწილების საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:20
დასრულების დრო: 14:29
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს "აგრონომიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს "აგრონომიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 16 დეკემბრამდე.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს "აგრონომიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს "აგრონომიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 16 დეკემბრამდე.

1. **მეხუთე საკითხი:**

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. **მეექვსე საკითხი:**

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

მეხუთე და მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა გვრიტიშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების დიდი ნაწილი უკვე შესრულებულია. მხოლოდ სამ რეკომენდაციაზეა დარჩენილი ლაფსუსები.

მათგან 2 „მეტწილ“ შესაბამისობაშია, ხოლო 1 - „ნაწილობრივში“. დაწესებულების მხრიდან რეკომენდაციები სრულად შესრულებულია და ამ სამიდან 2 სრულიად ტეკნიკურ ნაწილს ეხება და რეკომენდაციის შინაარსს არ წარმოადგენს, თავად რეკომენდაციის შინაარსი შესრულებულია. 2.4 სტანდარტში რეკომენდებულია, რომ სილაბუსებში პრეზენტაციისთვის მინიჭებული შეფასების წონა შესწორდეს იმგვარად, რომ, უზრუნველყოფილი იყოს ქულების თანაბარი განაწილება შეფასების სხვა კრიტერიუმებთან მიმართებაში. ამასთან დაკავშირებით თავად ექსპერტიც აღნიშნავს, რომ რეკომენდაცია შესრულებულია და შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია, თუმცა ჩარჩენილია ტექნიკური ხარვეზი, სემინარის ქულა ერთგან არის 7, ხოლო მეორეგან - 10, ამიტომ დარჩა რეკომენდაციად. ეს დაწესებულების მხრიდან უკვე შესრულებულია. „მეტწილ შესაბამისობაშია“ ასევე 1.4 ქვესტანდარტი, სადაც რეკომენდებული იყო, რომ მკაფიოდ გამიჯნულიყო სწავლის შედეგები ისეთ სასწავლო კურსებში, რომლებიც ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენდა. აქაც, ანალოგიურად, ექსპერტი აღნიშნავს, რომ რეკომენდაცია შესრულებულია, თუმცა ტექნიკური ხარვეზია დარჩენილი. ამავე ნაწილში ექსპერტი გამოყოფს, რომ „ფსიქოლოგიის საფუძვლები 2-ის“ და „სოციალური ფსიქოლოგია 2-ის“ შედეგები გამიჯნულია და მხოლოდ სასურველობის დონეზე ამბობს, რომ სილაბუსში უნარების ნაწილი მეტი განსხვავებით უნდა იყოს. ამიტომ დაწესებულება არ ეთანხმება, რადგან თავად რეკომენდაცია სრულად შესრულებულია და ეს მხოლოდ სასურველობის ხასიათს ატარებს.
თეონა გუბიანურმა მეთოდებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე აღნიშნა, რომ მეთოდებთან დაკავშირებული რაც იყო ის შესრულდა. ექსპერტს აქვს აღნიშნული, რომ „ფსიქოლოგიის საფუძვლები 2-ში“ დამატებულია 5 მეთოდი, ხოლო „კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1 და 2“ კურსის სწავლა სწავლების მეთოდები არის იდენტური. რაც შეეხება კვლევის მეთოდების კურსს და იდენტური სწავლა/სწავლების მეთოდებს, ითქვა, რომ იდენტურია იმის გამო, რომ კურსის სპეციფიკა მოითხოვს ამას და არ საჭიროებს რაიმე დამატებით მეთოდებს მეორე სემესტრში. აღნიშნული სწავლა/სწავლების მეთოდები შეესაბამება კურსის სპეციფიკას და საჭიროა იმისთვის, რომ კურსის მიზნები იყოს მიღწეული. 1.4 სტანდარტთან მიმართებით აღინიშნა, რომ სოციალური ფსიქოლოგია 1 და 2-ის შემთხვევაში თვითონ ფსიქოლოგიის მეორე კურსი გადის ავტონომიურობაზე, რაზეც არ გადის პირველი. ხოლო რაც შეეხება ფსიქოლოგიის საფუძვლებს პირველს და მეორეს, ეს არის საბაზო კურსი, როცა პირველად აქვთ შეხება სტუდენტებს ფსიქოლოგიის საგანთან და ის, რომ არ გადის ავტონომიურობაზე, ეს ასეც უნდა იყოს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ციური დურულმა აღნიშნა, რომ უცნაური აღწერილობა აქვს დასკვნას რეკომენდაციის შესრულების ნაწილში. ანგარიშზე როცა არის საუბარი „მეტწილად“ და „ნაწილობივ“ შეფასება არასამართლიანია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:41
დასრულების დრო: 12:47
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

7. მეშვიდე საკითხი: "შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 25 ივლისის №915179 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს გააცნო შუამდგომლობა. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მხრიდან, 2025 წლის 08 დეკემბერს ცენტრში შემოვიდა წერილი, რომლითაც დაწესებულებამ მოითხოვა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 25 ივლისის №915179 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და „მასობრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად - „მასობრივი კომუნიკაცია“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 25 ივლისის №915179 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 25 ივლისის №915179 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და „მასობრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: **„მასობრივი კომუნიკაცია“.**

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 12:50 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან